# ცნობის ფურცელი

...წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 9 მარტი № 1404

...ა დირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ვი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...ში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი** № 372.



**საუკეთესო აბრეშუმის ჭიის თესლი**

...მოიკითხეთ ქ. ბათუმში, მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში. ფასი ...მიერია.
(15 - 1)

## ქართული თეატრი

**კვირას, 11 მარტს**

თავ. რაფიელ დავითის ძის ერისთავის სახსოვრად

გამართულ იქნება **სალიტერატურო სალამო**

I

**ბიძიასთან გამოხუმრება**

კომედია 1 მოქ. რ. ერისთავისა.
...ეობას მიიღებენ: ქ. მარ. საფაროვისა, ბ.ბ. ვ. აბაშიძე, კ. მესხი, კ. ყიფიანი, ვ. გუნია და სხ.

II

...აკი წერეთლის სიტყვა რაფიელზე, წარმოთქმული იქნება თვით აკაკისაგან.
მაქ. ავალიშვილის ხორო შეასრულებს **ქართულ სიმღერებს.**

III

**დივერტისმენტი**

წაკითხული იქნება რაფიელის ლექსები და სცენები.
წაიკითხავენ: ბ.ბ. სოფრონ მგალობლიშვილი, კ. მესხი და კ. ყიფიანი

დასასრულ

**აპოთეოზი**

...ბის ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.
**დრამატიული საზოგადოების მმართველობა.** (3—1)

ტფილისის კერძო

**მკურნალო...**

...ის **მიხეილ გედევანიშვილისა.**
...ბს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

...ზოშინაძე — კბილის სნეულებანი 8 — ...მდე.
...ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და ელექტრობით — 9 — 10 ს.
...ულინი — ყურისა, ყელისა და ცხვირი... — 11 საათამდე.
...ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი ... საათამდე.
...სტილოვი — თვალისა 11 — 12 ს.
...დი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11 — 12 ს.
გედევანიშვილი — ნერვებისა და შინა- ...—1 საათამდე.
... მარკევიჩი — სადოსტაქრო — $12^1/_2$ ...მდე, სამშაბათობით 3 — 4 საათამდე.
...ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და ...—$1^1/_2$—2, საათამდე.
...ბეზირგანოვი — შინაგანი და ბავშვების ...ამდე.

საღამოთი:

...თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი ...საათამდე.
...ელდოოგლოვი.—შინაგანი (სტომაქის ...ბანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე- ...—6 საათზე.
...ნალოს აქვს საწოლი ოთახები.
...რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპე-...მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ...ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.
... კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...დისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...). ტელეფონი № 274.
...ტორი სამკურნალოსი
მიხეილ გედევანიშვილი


### ტფილისის ქალაქის საქმეები.

I

უცნაურ მდგომარეობაში ჩააყენა თავისი თავი ტფილისის ქალაქის საბჭომ. მას შემდეგ, რაც არჩევნების მზადება დაიწყო, საბჭომ დაჰკარგა სულის სიმშვიდე და ყველას აკვირვებს თავის დადგენილება-მოსაზრებით, თავის მოუფიქრებელ და წინდაუხედავ მოქმედებით. რა ამბავია ეს? რას მოასწავებს ეს აღშფოთებული მდგომარეობა? რას შეუშინდნენ ჩვენი განათლებული „მამები“? რათ დაარღვიეს დღეს ის, რაც გუშინ დაადგინეს? გაკვირვებით აძლევ თავის თავს ამ საკითხებს და უნებლიეთ სამწუხარო პასუხს იძლევი, რომ დღევანდელ საბჭოს ეშინიან ხელიდან არ გამოეცალოს ქალაქის მართვა-გამგეობის საქმე. თუ არ ამით, მაშ რით უნდა ავხსნათ საბჭოსაგან ორის ერთმანეთის საწინააღმდეგო უცნაურის დადგენილების მოხდენა მომავალ არჩევნების წეს-რიგის შესახებ?!

გავიხსენოთ მოკლედ ამ დადგენილებათა ისტორია და მკითხველი ცხადათ დაინახავს, როგორ აღშფოთებულან ქალაქის დღევანდელი „მამები“ არჩევნების მოახლოვების გამო და როგორს უცნაურს მდგომარეობაში აყენებენ ისინი ტფილისის საქალაქო თვით მმართველობის საქმეს.

რა რიგად უნდა მოხდეს ხმოსნების მომავალი არჩევნები, — ერთ საარჩევნო კრებაზე, თუ რამდენსამეზე? აი პირველი საკითხი, რომელიც გაარჩია საბჭომ შარშან, 27 ნოემბერს. დღევანდელი საქალაქო დებულება, როგორც ვიცით, არჩევნების უფლებას ანიჭებს მხოლოდ დიდის ცენზის მქონეთ, ასე რომ რუსეთის ყველა ქალაქებში ქალაქის თვით-მმართველობის საქმე ხელში ჩაიგდეს მდიდარმა სახლის პატრონებმა და ვაჭრებმა. ქალაქის წარმომადგენლებათ შეიქმნენ მხოლოდ მდიდარი ელემენტები, ხოლო მცხოვრებთა უმრავლესობა სრულიად განიდევნა ასპარეზიდან. ამგვარმა გარემოებამ უკვე მოიტანა თავისი მავნე შედეგი: ქალაქის მმართველებმა წინ წამოაყენეს უმცირესობის ინტერესები და მიივიწყეს ქალაქის განაპირა ადგილები, ქალაქის ღარიბ და ხელმოკლე უმრავლესობის საჭიროება — ინტერესები. ამან მწერლობაში და საზოგადოებაშიაც გამოიწვია კანონიერი უკმაყოფილება და თვით მთავრობა შეუდგა საქმის გასწორებას; სახელდობრ, მან განიზრახა საარჩევანო უფლებათა გაფართოვება სადგომების დამქირავებელთა მოწოდებით.

ჯერ ეს განზრახვა არ განხორციელებულა და ამიტომ საჭირო შეიქნა თვით საქალაქო მმართველობათ შეიტანონ მცირეოდენი გასწორება არჩევნების წეს-რიგში. ერთ ამგვარ გამასწორებელ საშუალებად დღეს შეიქნა საქალაქო არჩევნების მოხდენა რამდენსამე საარჩევანო კრებაზე. საქმე ის არის, რომ ყველა ამრჩეველთა ერთ კრებაზე შეგროვება უპირატესობას აძლევს ქალაქის ცენტრალურ, მდიდარ ნაწილების მცხოვრებთ. ამომრჩეველთა უმრავლესობა ერთ კრებაზე ძალა-უნებურად ირჩევს მდიდარ და გავლენიან პირებს და ამრიგად სდგება ცალმხრივი წარმომადგენლობა თვით-მმართველობაში. პირიქით, ქალაქის დაყოფამ რამდენსამე საარჩევანო ნაწილად საბჭოში ადგილი მისცა ქალაქის განაპირა ადგილების მცხოვრებთა წარმომადგენლებსაც.

ტფილისის საბჭომ მხედველობაში მიიღო ეს გარემოება, წვრილმანი და ეგოისტიური მოსაზრებანი თითქმის მსხვერპლად მოუტანა საზოგადო ინტერესს და შარშან, ნოემბერში, გადასწყვიტა არჩევნების მოხდენა სამს საარჩევანო კრებაზე. ჩვენ ვამბობთ „თითქმის“, იმიტომ რომ საბჭომ, სამწუხაროდ, ისეთი კუდი გამოაბა თავის დადგენილებას, რომელმაც სრულიად არივ-დარივა კარგად დაწყებული საქმე და ისეთი მითქმა-მოთქმა და ბრალდება გამოიწვია, რომელიც სასურველი არ არის. საქმე ის არის, რომ საბჭომ ყურადღებაში არ მიიღო ბუნებრივი დაყოფა ქალაქისა და ხელოვნურად შეაერთა სრულიად ერთმანეთთან დაშორებული ადგილები! მაგალითად, მეათე საპოლიციო ნაწილი (დიდუბე და კუკიის ნახევარი) მიუმატა ვერას. ამგვარმა განაწილებამ კვლავ წამოაყენა ეროვნული კითხვა ქალაქის არჩევნების საქმეში. საბჭოს დაბრალდა, რომ მან განგებ დაჰყო ასე ხელოვნურად ქალაქი, რათა სომეხი-ამრჩევლები ყველა ნაწილებში სხვა ერის ამრჩევლებზე მეტი ყოფილიყო. ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ბრალდება. ჯერ ამომრჩეველთა სია გამოქვეყნებული არ არის და შეუძლებელია ვიცოდეთ რამდენად სამართლიანია ხსენებული ბრალდება ან რამდენად ეწინააღმდეგება იგი სინამდვილეს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თვით საბჭომ, თავის შემდეგ მოქმედებით საბუთი მისცა თავის მოწინააღმდეგეთ იფიქრონ, რომ ბრალმდებლები არ ყოფილან სრულიად მტყუანნი.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 მარტი.

**ნიუ-იორკი.** იუწყებიან, რომ მაკ-კინლეიმ წინადადება მისცა სახელმწიფოებს, რომ იმათ დაადგინონ, თუ რაოდენი თანხის გადახდა შეუძლიან ჩინეთს და შემდეგ გადასწყვიტონ, თუ რაოდენი შეხვდება ამ საზოგადო თანხიდან ყოველს სახელმწიფოს.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. გამილტონი ამტკიცებს, რომ რუსეთსა და ინგლისს შუა დავას გადასწყვეტენ სამხედრო მოხელეები და ზავის დარღვევისა სრულებით არ უნდა გვეშინოდეს.

**პეტერბურგი.** 7 მარტს ფინანსთა მინისტრის საბჭოს დარბაზში გაიხსნა მთელის რუსეთის მეფქვილეების მეექვსე კრება მინისტრის ამხანაგის კოვალევსკის თავმჯდომარეობით. ჯერ ჯერობით 57 წევრი შეიკრიბა.

**კიევი.** მდ. დნეპრზე ყინული ლხვება კიევთან.

**ხარკოვი.** ლისევიცკის საქმის დამცველს საკასსაციო საჩივარი შეაქვს.

**მოსკოვი.** დღეს დაასაფლავეს საერო განათლების მინისტრი ბოგოლეპოვი. სასაფლაოს ეკკლესიიდან სამარემდე კუბო პროფესორებსა და სამოსწავლო ოლქის მოხელეებს მიჰქონდათ; კუბოს თავი, სხვათა შორის, მიჰქონდა დიდ მთავარ სერგი ალექსანდრეს ძეს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ საერთაშორისო ფედერატიულმა კავშირმა, რომელსაც მიზნად აქვს იბრძოლოს ბურების დამოუკიდებლობის დასაცველად, დაბეჭდა ფრანგ. გაზ. «ტან»-ში ორი დოკუმენტი. პირველი დოკუმენტი ამნაირია:

«საერთაშორისო ფედერატიულმა კავშირმა, რომელიც ეხლა პარიზშია შეკრებილი, რამდენიმე სხდომაზე გამოარკვია: 1) რომ პატარა ერმა, რომელსაც მონაწილეობა არ მიაღებინეს გააგის სამშვიდობო კონფერენციაში, სამხრეთ-აფრიკის ომის განმავლობაში გვიჩვენა მშვენიერი მაგალითი განათლებული ერების ომის წესებისა და კანონებისა; ის იქცეოდა, როგორადაც კაცთ-მოყვარე და ადამიანური ერი და 2) რომ მისი მოპირდაპირე, პირველი ერი მთელს ქვეყნიერობაზე და განათლების მეთაური, ნიადაგ არღვევდა იმ დედა-აზრებს, რომელიც მან ფორმალურად აღიარა, როცა გააგის კონფერენციის ოქმს ხელი მოაწერა.

ამიტომ საერთაშორისო კავშირმა გადასწყვიტა მიჰმართოს ამის შესახებ პროტესტით სხვა და სხვა მთავრობებს და დაამტკიცოს ეს პროტესტი კავშირის მიერ შეკრებილი საბუთებით».

მეორე დოკუმენტი მანიფესტია ამ კავშირისა:

«ბურების დამოუკიდებლობის დამცველი კომიტეტების დელეგატებმა, რომლებიც არჩეულ არიან რამდენიმე მილიონი ხალხისაგან გერმანიაში, ამერიკაში, ავსტრიაში, ვენგრიაში, ბელგიაში, ესპანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში და რუსეთში, შეიკრიბნენ რა პარიზში, გადასწყვიტეს ხელ-ახლად მიაქციონ ყველა განათლებული ერების და თვითონ ინგლისის ერის ყურადღება იმ გარემოებაზე, თუ რისთვის დაიწყო და რისთვის სწარმოებს სამხრეთ-აფრიკის ომი.

მთელმა ქვეყნიერობამ იცის, რომ ამ ომისათვის დიდხანს ემზადებოდნენ უფრო იმისათვის, რომ ბურებისათვის ოქროს მადნები წაერთმიათ, ვიდრე ინგლისის ბატონობის დასამყარებლად ბურების ქვეყნებში.

რათა დაუმალათ სხვა ერებისათვის, და ნამეტნავად ინგლისის ერისათვის, ამ ომის ნამდვილი საგანი, ეცადნენ, რომ პასუხის გება ამ ომის გამოცხადებისა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებისათვის მოეხვიათ; თუმცა ეს რესპუბლიკები უამისოდაც გამწვავებულები იყვნენ იმათ ქვეყანაზე ჯემსონის თავ-დასხმით, მით უმეტეს, რომ ეს უპატიური შესევა დაუსჯელად დარჩა, მით მაინც ამათ მხოლოდ მაშინ წაავლეს ხელი იარაღს, როდესაც ინგლისის ჯარი მზად იყო რესპუბლიკებში შესასევად.

ცდილობდნენ ბურები დაეხატათ, როგორადაც გაუნათლებელი და მხეცი ხალხი, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ომი იმათ წინააღმდეგ განათლების სასარგებლოდ, რომ იმათი დაპყრობა ინგლისის მიერ—დიდად სასარგებლო იქნება როგორც თითონ ბურებისათვის, ისე საზოგადო პროგრესისათვისაც.

რათა უკეთესად დავახასიათოთ ეს ძალ-მომრეობა, უსათუოდ საჭიროა გავიხსენოთ, რომ ის დაიწყეს სწორედ იმ დროს, როდესაც 26 ერის წარმომადგენელი შეიკრიბა გააგაში და შეიმუშავა ისეთი წესები, როგორებსაც საჭიროდ სთვლიდნენ, რათა შეემცირებინათ ანუ სულაც მოესპოთ ის ტანჯვა, რომელიც ომს მოსდევს ხოლმე.

მე-XX საუკუნის დასაწყისს, როდესაც კაცობრიობის სინიდისმა და საერთა-შორისო უფლებამ ასეთ განვითარებამდე მიაღწია, როდესაც ამდენ ხალხს დამოუკიდებლობა მიეცა, ფინანსისტების რამდენიმე ამხანაგობა გულგრილად ჰკლავს ევროპიული ჩამომავლობის ორს ერსა.

თუმცა მოწინააღმდეგეები დიდს შეურაცხყოფას აყენებდნენ ბურებს და სრული უფლება მისცეს, რომ ბურები თავიანთ მხრივაც დაუნდობლად მოქცეულიყვნენ, მაგრამ მაინც ბურები დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ სხვისას საკუთრებას და თავიანთ მოწინააღმდეგეების სიცოცხლეს და მეტად ადამიანურად ექცეოდნენ ტყვეებსა და დაჭრილებს; ამით რესპუბლიკების მოქალაქეებმა ნამდვილად დაამტკიცეს, რომ იმათ თამამად სიტყვა ეთქმით და ადგილი აქვთ პირველ განათლებულ ერებ შორის.

მედგარი წინააღმდეგობა, ძლიერი სიყვარული ეროვნული დამოუკიდებლობისადმი, შეურყეველი მხნეობა აყენებს ბურებს საყოველთაო პატივისცემის ღირსი ერების პირველ რიგში: ისინი მართლაც და ძველ კლასიკურ გმირებს გაუთანასწორდნენ.

იმათი მართალი საქმე ყველა განათლებულ ერებს საკუთარ საქმედ მიაჩნია.

იმათი დამარცხება მთელი კაცობრიობის სინიდისის შეურაცხყოფა იქნება, მთელი ქვეყნიერობისათვის სადარდელი გახდება. იმათი დამონავება იქნება—სიმართლის დამარცხება, განათლების უკან დახევა; ის მოუსპობს ყველას უკეთესი მომავლის იმედს.

ამისა გამო:

ბურების დამოუკიდებლობის დამცველი კომიტეტის დელეგატებმა, რომლებიც პარიზში არიან შეკრებილები, დაადგინეს: შეადგინონ კომიტეტების საერთაშორისო ფედერატიული კავშირი და დააწესონ ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც მიწერ-მოწერა ექნება ყველა სხვა კომიტეტებთან მთელს ქვეყნიერობაზე.

საერთაშორისო კრება მიჰმართავს ყველა ქვეყნების და ნამეტნავად ინგლისის საზოგადოებრივ აზრსა, ყველა პარლამენტებს და მთავრობებს და მოითხოვს ყველა განონიერ ღონისძიებას, რომ ჩაუნერგოს ყველა ერებს ის ჭეშმარიტებანი, რომელიც სხვა და სხვა სახელმწიფოებმა გამოსთქვეს გააგაში.

კავშირი ნიადაგ მოაგონებს საზოგადოებას იმ ამბებს, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ბურებთან ბრძოლაში დარღვეულია განათლებული ერების ომის ყველა კანონები და წესები; ამავე ამბებს კავშირი ყოველთვის მოახსენებს პარლამენტებსა და მთავრობებს.

პარიზში შეკრებილი დელეგატები მიჰმართავენ ინგლისის ერს და სთხოვენ, რომ იმან გამოიკვლიოს მიზეზი ამ ომისა, რათა დარწმუნდეს, თუ რა საშინლად მოტყუებულია თავისი მთავრობის მიერ, რათა დარწმუნდეს, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ინგლისის ეხლანდელი პოლიტიკა მის ჩვეულებრივ პოლიტიკას, რომელიც ყოველთვის დამყარებული იყო თავისუფლებასა და კაცთ-მოყვარეობაზე.

დელეგატები მიჰმართავენ აგრეთვე მთელს ქვეყნიერობაზე ყველა კაცურ-კაცებს, რომლებსაც კი ადამიანური გული უცემთ, რათა კაცობრიობამ ხმა აღამაღლოს ამ უსამართლო ომის წინააღმდეგ; ისინი იწვევენ ყველას დააარსონ ახალი კომიტეტები და შეერთებულის ძალით ეცადნენ, რომ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებს დამოუკიდებლობა დაუბრუნდეთ.

✡ რუსულ გაზ. «სიბირსკაია ჟიზნ»-მა შემდეგი მშვენიერი სტრიქონები უძღვნა 19 თებერვალს—ამ დიდებულ დღეს გლეხთა განთავისუფლებისას: «მე-XIX საუკუნის კაცებმა დაიწყეს დიდებული საქმე სამართლიანობის დამყარებისა, ხოლო მე-XX საუკუნის კაცების მოვალეობაა—ეს საქმე ბოლომდე შეასრულონ; ეს საქმე მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც განთავისუფლებული ხალხი მართლაც და თავისუფალ ხალხად იქცევა, როდესაც თვით სიტყვას «ბატონი» თავისი მნიშვნელობა დაეკარგება. ამ იდეალის მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც აღიარებულ იქნება ხალხის სრული თანასწორობა, როდესაც ყოველნაირი განათლება ყველასთვის ერთნაირად მისაღწევი გახდება, როდესაც ყველასათვის ერთნაირი კანონი გამოიცემა, როცა ხალხის ერთს ნაწილს არ დასჯიან ისეთი სასჯელით, რომელიც მეორე ნაწილისათვის სამარცხვინოთ ითვლება, როცა ყველანი ერთნაირად თავისუფალი იქნებიან ძლიერების თვითნებობისაგან, ესე იგი მაშინ, როდესაც ყოველი წოდებრივი გარჩევა მოისპობა; საჭიროა, რომ ყოველი წოდება თანაბარად ეწეოდეს ყოველნაირ სახელმწიფო ხარჯსა და დასასრულ ყველა ეს უნდა დაგვირგვინდეს სიტყვისა და სინიდისის თავისუფლებით, რადგანაც უამისოდ სიტყვა «თავისუფალი» მხოლოდ დაცინვაა და სხვა არაფერი.

ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში რუსის საზოგადოებამ მეტად უკან დაიხია ყველაფერში, მაგრამ ეს არავის არ უნდა აშინებდეს, რადგანაც დროებითი რეაქცია არის მხოლოდ უბრალო შედეგი სასტიკი წესებისა; შემდეგში ეს რეაქცია უსათუოდ უნდა გაჰქრეს და მოუცალოს რუსეთს ის გზა, რომელსაც ის 40 წლის წინად დაადგა.

ერთხელ დაწყებული პროგრესიული განვითარება არასოდეს არ გაჩერებულა,—ამას მთელი კაცობრიობის ისტორია ჰმოწმობს; არ გაჩერდება ეს განვითარება რუსეთშიაც.

---

## ახალი ამბავი

✦ კვირას, 11 მარტისათვის, განზრახული იყო გამართვა სადღესასწაულო დილისა აწ განსვენებულის რაფიელ ერისთავის სახსოვრად, მაგრამ ეს დილა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. ხოლო ამავე დღეს, საღამოს, გაიმართება ლიტერატურულ-დრამატიული საღამო, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი პოეტი აკაკი, სოფრონ მგალობლიშვილი და სხვანი.

✦ ტფილისის გუბერნიის სამმართველოში ამ მოკლე ხანში განიხილავენ ღრმა-ღელეს მცხოვრებთა შუამდგომლობას ამ სოფლის „პოსადად“ გადაკეთების შესახებ. თუ საგუბერნიო სამმართველო საჭიროდ დაინახავს ღრმა-ღელეს „პოსადად“ გადაკეთებას, მაშინ შუამდგომლობას აღძრავენ, რათა შემოღებულ იქმნას აქ შემოკლებული თვით-მმართველობა.

✦ სოხუმის ქალაქის საბჭოს გაუთავებია მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. ხარჯთ-აღრიცხვაში გვარიანი დეფიციტია და ამიტომ განზრახვა აქვთ იშუამდგომლონ სათანადო მთავრობის წინაშე, რათა ნება-დართულ იქმნას ქ. სოხუმის სათადარიგო თანხიდან (95,000 მანეთზე მეტია ეხლა) საჭირო ფულის სესხად აღება. სხვათა შორის, ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია წყლის მილის გაყვანისათვის—12,000 მანეთი და ქალაქის კანალიზაციისათვის—20,000 მანეთი.

✦ კავკასიის ქართველ ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობის განზრახვა სასახლის ქუჩაზე აფთექის მაღაზიის გახსნის შესახებ, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დაამტკიცა ფარმაცევტთა საზოგადო კრებამ. აღნიშნულ საზოგადოების გამგეობა ამ დღეებში უკვე შესდგომია სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლებში, მაღაზიის მოწყობის საქმეს.

✦ რამდენიმე ექიმს განზრახვა აქვთ დააარსონ ქ. ტფილისში ახალი სამკურნალო.

✦ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იტყობინებიან, განზრახულ საგუბერნიო რეფორმამდე, რომლის განხორციელებაც მეტად დაგვიანდა, შეუდგებიან საგუბერნიო სტატისტიკის რეფორმას.

✦ სადგომებზე დადებული სახელმწიფო გადასახადი გადავა ქალაქების ხელში 1902 წლის ივლისიდან.

✦ თავ. ზ. გ. ერისთავს შეუწირავს მომავალ ტფილისის სახალხო სახლისათვის 500 მანეთი.

✦ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ყოვლად-სამღვდელო კირიონმა სთხოვა ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობას, რათა მან დაუთმოს სასულიერო წოდებას 400 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა ვერაზე სახატის ასაგებად, სადაც დასვენებული იქნება ხატები ქართველთა წმიდა მოწამეთა არჩილისა და ლუარსაბისა, და სადგომები ბეთანიის მონასტრის ბერებისათვის; ქალაქის გამგეობამ მიანდო ქალაქის თავს დაათვალიეროს და ამოარჩიოს ადგილი და წარმოუდგინოს საბჭოს წინადადება სასულიერო წოდებისათვის ამორჩეულის ადგილის დათმობის შესახებ.

✦ ტფილისის საბჭოს ტრამვაის კომისიამ თვის უკანასკნელ სხდომაზედ, სხვათა შორის, დაადგინა: რადგანაც ბატონმა რობიმ, მიუხედავათ რამდენჯერმე განმეორებულ გახსენებისა, არ გამოუცვალა ტრამვაის ვაგონებს დაძველებული ფანრები რიყეზე, ქალაქსა და უსახელო საზოგადოებას შუა დადებულ ხელშეკრულობის მე 45 მუხლის თანახმად, ჯარიმა გადახდეს უსახელო საზოგადოებას დღეში 20 მანეთი 16 თებერვლიდან იმ დღემდე, სანამ ბ. რობი არ გამოსცვლის ძველ ფანრებს.

✦ ქალაქის ტეხნიკ შახ-ნაზაროვის მოხსენებიდან სჩანს, რომ ტრამვაის გზების მდგომარეობა სასურველზე შორს დგას. ამიტომ ტრამვაის კომისიამ დაადგინა დაათვალიეროს ტრამვაის ყველა გზა კვირას, 10 მარტს.

✦ 6 მარტს ეკატერინენფელდის გზაზედ თავს დასხმიან ავაზაკები ბარონ კუჩენბახს და წაურთმევიათ 100 მანეთზე ცოტა მეტი. ავაზაკებს ეჩქარებოდათ და ამიტომ ბარონს ვერ უნახეს დანარჩენი ფული, რომელიც 1000 მანეთს აღემატებოდა.

✦ სპეციალისტების აზრით, ციციანოვის აღმართის გამაგრება დაჯდება 20—23 ათასი მანეთი.

✦ გუშინ, ღამის პირველ საათზე, მარტიროსიანცის სახლიდგან, მტკვის ტოტის ნაპირას, გამოსულიყო სახლის აივანზე ვიღაც კაცი, რომელიც გადავარდა უნებლიეთ მტკვარში. იმის საზარელ ყვირილზე ხიდზე უცბად ხალხი შეგროვდა და დაუწყეს საბრალოს ძებნა ბნელაში. მალე ნახეს, რომ კლდეს დაბღაუჭებოდა და გაჰკიოდა. რამდენიმე კაცი მიეშველა და უვნებლად გამოიყვანეს წყლიდგან.

---

### მეაბრეშუმეთა ს ყურადღებოდ.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი გურიიდან, „მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ“, რომელშიაც ავტორმა გამოსთქვა სრულებით შემცდარი აზრი შესახებ იმისა, ვითომ იტალიაში და საზოგადოთ უცხოეთში დამზადებული სალი აბრეშუმის გრენი ჩვენში არ ვარგობდეს, რადგანაც ჩვენი სამშობლოს ჰავა და გეოგრაფიული მდებარეობა ხელს არ უწყობს მას და სხვა და სხვა.

ამ საგნის შესახებ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენს გაზეთში ის აზრი, რომ ამიერ კავკასიაში და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში საუკეთესო მოსავალს იძლევა ევროპიულ ჯიშის აბრეშუმის გრენი,

ე. ი. ის გრენი, რომელიც დამზად
საფრანგეთში და იტალიაში. მთელ
მიწის ზურგზე იტალია ითვლება მ
აბრეშუმის [illegible]
შემდეგ ამ [illegible]
ფეხი პასტერის ცელულიარულ
გრენის დამზადებამ და ჩვენ სამშობ
ყველაზე პირველად 80 წლებში
ნილი იქმნა ცელულიარული გრენ
ნის ფირმისა. ასე რომ ყველასათ
დია (გარდა ავტორისა, ახალი „მე
მესა“) ის გარემოება, თუ რა განუს
ლი სარგებლობა მოუტანა ჩვენის
მეაბრეშუმეებს ზემოდ ხსენებულ
ქვეყნებში დამზადებულ აბრეშუმის
რასაც ცხადად გვიმტკიცებს უცხ
გრენის შემოტანის რაოდენობა, რო
ყოველწლივ მატულობს; წარსულ
მაგალითად, ამიერ კავკასიაში შემ
იქმნა უცხოეთიდან 500 ფუთზე მე
ნი, წელს კი ეს რაოდენობა 600
აღემატება. ქუთაისის გუბერნიაში
გრელოში, გურიაში, დასავლეთ იმ
ზემოდ ხსენებულ რაოდენობიდა
სულ წელს გავრცელებული იყო 10
მეტი აბრეშუმის გრენი. ჰავას, გეოგ
მდებარეობას და თუთის (ბჟოლის)
სინაზეს, რომ არ აქვს მნიშვნელ
თუ იმ ქვეყნის მეაბრეშუმეობაზე,
ცხადად ამტკიცებს, რომ იტალი
საფრანგეთიდან (ხსენებულ სახემ
მეაბრეშუმეობა არსებობს მხოლოდ
ეთ იტალიაში, ლომბარდიაში და
საფრანგეთში) გრენას იწერენ ა
მახლობელ სახემწიფოებში—ავსტრ
ში, ისპანიაში, საბერძნეთში, ს
და კავკასიაში, არამედ რუსეთის
სხვა გუბერნიებშიაც კი: ხარკოვის
ხერსონის და სხვა გუბერნიებში,
ხსენებული გრენი შედარებით კა
ვალს აძლევს. განსაკუთრებული ყ
ბა ჩვენმა მეაბრეშუმეებმა უნდა მია
გარემოებას, თუ რა პირობებში ან
ინახებოდა სალი თეთრ ბანდეროლი
იმ დრომდე, ვიდრე შეიძენდნენ
გრენის რაოდენობის უმეტესი ნაწ
მელიც ამ ჟამად ჩვენის ქვეყნის სხ
ბაზრებშია გამოტანილი გასასყიდ
ბა ძლიერ ცუდად, ხშირად გადაა
სოფლიდან მეორეში იმისთანა დღ
20 გრადუსზე მეტი სიცხეა ან და 5
ნაკლები სიცივე. რომ ეს გარემო
დინონ თავიდან ჩვენმა მეაბრეშუმ
სულ წელს ქ. ქუთაისში, დ. სამ
და დ. ზუგდიდში მომხდარ მეაბ
კრებებზე დაადგინეს: ითხოვონ ს
არს—დაარსებულ იქმნას იმ სა
რაიონებში, სადაც აბრეშუმის გრ
დება, ცალკ-ცალკე საზამთრო ს
(ზიმოვნიკები), სადაც შეიძლებო
ნის ზომიერ (8° R) ჰაერში
აუცილებლად საჭიროა აგრეთვე
მა მეაბრეშუმეთა ამხანაგობებმა
ცალკე პატარა საზამთრო საწყობ
ვნიკები), რომლენიც, დაახლოვებ
50 მანეთი დაჯდება.

რაც შეეხება უცხოეთიდან შ
ევროპიულ ჯიშის გრენიდან პარ
სავლის რაოდენობას და მათ
უნდა ვაუწყო ხსენებულ ავტ
იგი ბევრად აღემატება არამც
ლობრივი გრენიდან პარკების
რაოდენობას, არამედ ადგილობ
ლიისა და საფრანგეთის მოსავა
ჩვენში ძლიერ ხშირია, ერთ მი
გრენიდან რომ 25—27 გირვანქა
პარკი მიიღოს მეაბრეშუმემ,
გირვანქა ხმელი პარკიდან, რომ
ვანქა ძაფი ამოვიდეს. ყველა ამ
ჩვენებურ პარკებს ამ უკანასკნელ
განსაკუთრებული სახელი მოუ
მსოფლიოს პარკების ბაზარზე მა
საგნის შესახებ დაწვრილებით
მდეგ ვაუწყებთ მკითხველს.

ი. ქუთ

# პროვინცია

ქუთაისი. «ივერიის» 47, 48 და 49 ნომერში მოთავსებულია ბ. ნ. წ. წერილი—«აბრეშუმის ჭიის თესლის მომზადების შესახებ. პირველი წერილი ნუკეშინიასთან». ავტორი მოგვითხრობს ჭიის სხვა და სხვა სენის გავრცელების ისტორიას; (მუსკარდინი, პებრინი და ფლაშერი). მოგვითხრობს, ვინ როგორ ებრძოდა ამ სენს და რა ღალი დააჩინა მათ. შემდეგ ვტყობილობთ წერილიდან, რომ პირველად იტალიელების აღმოუჩენიათ ნამდვილი ავადმყოფობის ნიშნები—კორპუსკულები—და დაუწყიათ თესლის გაჩხრეკვა; შემდეგ კი შესანიშნავს პასტერს თითონ დიდად ბუდიანად შეუცვლია თესლის გასინჯვის იტალიური სისტემა და დაუფუძნებია ახალი, უფრო სავარგისი სისტემა, «პასტერისად» ...ბილი.

ეს ყველაფერი კარგი და კეთილი: ყოველთვის საჭიროა ვიცოდეთ ჩვენი მტრებისა და მათთან მებრძოლი მოღვაწეების ვინაობა; მხოლოდ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმ დასკვნას, რომელიც ბ. ნ. წ. თითქოს ძალად გამოჰყავს თავისი ნათქვამიდან: «იტალიური სისტემა თესლის გასინჯვისა არ არის სრული და შეუმცდარი (სხვა რა, ან ვინ არის ნეტავი შეუმცდარი) იტალიელი პაპის მეტი!)»... და ამიტომ, თუ ტფილისის სადგურზე გასინჯული აბრეშუმის თესლი სადი გამოდგა, «მადლობელნი უნდა ვიყვეთ მეთესლეებისა და არა გასინჯვისა, რომელიც არაფერს არ გვაჩვენებს... მაშ რადას ...ქნისია ასეთი გასინჯვაო», გვეკითხება ბოლოს ბ-ნი წ., უთუოდ მომლოდინე, რომ ჩვენ ვუპასუხებთ: «სრულიად არაფრის-თქო». სხვა როგორ უპასუხებს, არ ვიცი და მე კი არ შემიძლია ასეთი პასუხის მიცემა. როგორც არა სპეციალისტი, მე ვერ შევუდგები იმის აწონას, თუ თესლის იტალიური გამოკვლევა რამდენად შეუმცდარია, მაგრამ ეს კი მრწამს და მჯერა, რომ «სულ არარაობას, ცალ-უღელი ხარი სჯობია». პასტერის სისტემაში რომ იტალიურს აჯობებს, მასში ეჭვი არა მაქვს, მაგრამ «უძაღლო ქვეყანას კატასაც კი აყეფებენ», რომ ქურდ-ბაცაცები ცოტათი მაინც დააფრთხონ. პასტერები რომ არ გვყავდეს, იმიტომ ჩარჩების კეთილ სინიდისიანობაზე დანდობა ჩვენ ხელს არ მოგვცემს. ბ. ნ. წ., იქნება, ხრისტოდულიდის და პასხალის ფირმებს უფრო ენდობოდეს, ვიდრე თესლის გასინჯველ სადგურს, იქნება ეგ ნდობა სამართლიანიც იყოს, (თუმცა არა მგონია, ეგ ფირმები კი იყოს «სრული და შეუმცდარი»), მაგრამ სიტყვიერად და წერილობით მუდამ იმის ...დაგება, სადგურზე თესლის გასინჯვა «არაფერს გვაჩვენებსო», სადგურზე უფრო სანდო ვიღაც ...ლები, იანცები და იდები (თათრები, სომხები და ბერძენი) არიანო, ვერაფერი საკადრისია! ...მის მაგივრად, რომ თვითონ უთითებდეს ყველას სადგურზე, გამომდგარა და იძახის, კაცო ...რ მიეკაროთ სადგურს. ნეტავი ვიცოდე, რად ...ჭირდება ბ. წ—ს, რომ ყოველ წელს ამ დროს ...მხედრდება სადგურის წინააღმდეგ? უთუოდ, ...ერთი—რომ თესლის გასასინჯავი ხარჯი აიცილოს თავიდან; მეორე—რომ ამხან. აბრეშუმის თესლს სახელი გაუკეთოს. ამ დროს ის კი ავიწყდება, რომ მისი ქადაგება სწორედ ჩარჩების მაცხოვრებელი და მწარმოებლების წამწყმედელია: ჩარჩები ხარჯებსაც შეიმცირებენ თესლის შეუმოწმებლობით და თავისს უვარგის თესლს ჩვეულებრივზე უფრო ადვილად გაასაღებენ; მწარმოებელნი კი ისევ თავისს «ნათლია» ჩარჩებს მიმართავენ და სრულიადაც აღარ ეძებენ შემოწმებულს, «თეთრ ბანდეროლიან» თესლს. მწარმოებელთ უნდა გამოსარჩლებოდა და მის მაგივრ კი ჩარჩებს ესარჩლება ბ-ნი ნ. წ.!

როგორც ამხანაგობის მეთაური, ის, რასაკვირველია, ამხანაგობის ინტერესებს უნდა იცავდეს, მაგრამ ამისთვის საქვეყნოდ სადგურის მიმართ ...სთან გასწორება და ხალხში სასოების დაკარგვა კი ვერაფერი მოსაწონია! ვთქვათ, როდისმე ვეღირსეთ პასტერის სისტემით თესლის გასინჯვას, მაშინ რას იზამს ბ-ნი ნ. წ.? თუ მაშინაც მთელი ქვეყნის სარგებლობას კუხის ამხანაგობისა და ხრისტოდულიდ-პასხალის სარგებლობა არ არჩია, უთუოდ სადგურზე მიუთითებს საზოგადოებას, მაგრამ გვიანღა იქნება: ხალხი (ისიც ჩვენი) ვერაფერი გაწრთვნილი, დისციპლინიანი ჯარია, რომ ბ-ნ ნ. წ. სარდლობით «направо» და «налѣво» იაროს. ხალხს თუ ერთხელ გული აცრუვებინე რაზედმე და სასოება დააკარგვინე, მერმე ბევრიც რომ ეცადო, შენს ჭკუაზე ვეღარ წაიყვან.

ამიტომ, ჩემის ფიქრით, ძლიერ კარგს იზამდა ბ-ნ ნ. წ., რომ ამ ცრუ და არა სანატრელი აზრების გავრცელებისათვის თავი დაენებებინა, თორემ, რაც მით სარგებლობა მოაქვს კუხის ამხანაგობისათვის, ათი და ასი იმდენი ზარალი მოაქვს მთელი ხალხისათვის.

ამხანაგი

—

დ. სამტრედია (ქუთ. მაზ.). ამ დაბას არავითარი შემოსავალი არ აქვს, რომ ბაზრის წვრილი მოთხოვნილების ხარჯები გაასწოროს. ამიტომ ბაზრის მოთხოვნილებისათვის საჭირო ხარჯებს იხდიან აქაური ვაჭრები, (ღამის დარაჯისთვის, ჯამაგირი ბოქაულის, წიგნთ-საცავის შესანახი და სხვა) თვეში ას ორმოცი მანეთამდე. წასულ წლის დეკემბერში ვაჭრებმა აირჩიეს სამი კომისიის წევრი და ერთი თავმჯდომარე, რომლებსაც დაავალეს ამ ხარჯის გაწერა ვაჭრებზე. მათ შეასრულეს კიდეც, რიგისამებრ, ეს მინდობილება და გარდასცეს შედგენილი ხარჯის გაწერა დეპუტატებს ფულის მოსაგროვებლად. მაგრამ დეპუტატებმა თვის ნებით მიუმატეს გადასახადს. 15 თუმნის მაგიერ მათ მოინდომეს 21 თუმნის აღება და იხდევინებიან კიდევაც ამ ფულს. სასურველია ვიცოდეთ, თუ რა უფლებით ან რა საჭიროებისათვის სხდიან ამას.

—

სოფ. მათხოჯი (ქუთაისის მაზრა). კვირას, 25 თებერვალს, მოხდა ჩვეულებრივი წლიური კრება ნახსხულევის სასოფლო ბანკისა. შემდეგ თავმჯდომარის არჩევისა შეუდგნენ წლიური ანგარიშის განხილვას. ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ 1900 წლის განმავლობაში მოჭმატებია წილის ფული 457 მ. და 8 კაპ. წარსული წლის 1 იანვრისთვის იყო წილის ფული 6094 მან.; ამა 1901 წლის 1 იანვარს შეიქმნა 6551 მ. 30 კ.; სასარგებლოდ შემოტანილი ფული წასული წლის დასაწყისში 3668 მ. 74 კ. იყო, ეხლა კი 3286 მ. 65 კაპ.; 1900 წლის განმავლობაში გაუტანია სესხათ ფული 132 პირს. სრული მოგება შეიქნა 824 მ. 40 კ. ამ მოგებიდან სათადარიგო თანხისათვის გადაიდო 83 მან. უძრავი ქონების შესაძენად 11 მ., დანარჩენი დაურიგდა მოგებად ამხანაგებს და თვითოეულ სრულ პაის მექონე ამხანაგს შეხვდა 5 მ. 65 კ. საზოგადოება ცოტა უკმაყოფილო დარჩა იმის გამო, რომ წელს ნაკლებია მოგება, ვინემ წინა წლებში იყო. ბანკის გამგეობა აქ, რასაკვირველია, არაფერ შუაშია; მაგრამ ძნელი დასაჯერებელია ისეთი პირები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ აქვთ შეგნებული ბანკის მნიშვნელობა. განსაკუთრებით გამგეობისათვის ეს ძნელია. რადგან ბევრი თავიც რომ იტეხოს და ნათლად უჩვენოს საზოგადოებას მიზეზი რომელიმე მოვლენისა, სოფელი ამას სხვა ფრივ მიიღებს. «რასაკვირველია ისინი თავს გაიმართლებენ, ყველაფერს მოახერხებენ»... იტყვის საზოგადოება თავისთვის. ამის გამო საჭიროა ერთი ნაწილი შეგნებული საზოგადოებისა დაახლოებული იყოს ამ საქმის მსვლელობასთან და თვალ-ყური ადევნოს მის ყოველ გვარ მოქმედებას, რომ საჭიროების დროს შეიძლონ დაცვა მართალი მხარის ინტერესებისა. ამ დანიშნულებას, ჩემის აზრით, უნდა ასრულებდეს რევიზიის წევრი. აი მათი მოვალეობაა, აღნუსხონ წლის ბოლოს ყოველი მოქმედება საზოგადოებისა და თანაც წარუდგინონ ახსნა განმარტება რაიმე საეჭვო გარემოებისა.

როგორც კი გათავდა ანგარიშის წაკითხვა, თავმჯდომარემ მოახსენა კრებას: თუ რაიმე სათქმელი აქვს ამ ანგარიშის შესახებ კრების რომელიმე წევრსა, სთქვას თავისი აზრიო, ერთმა წევრმა სთქვა: «რადგან ბანკის მოგება წელს ნაკლებია, საჭიროა, რომ გამგეობის წევრთ დაეკლოთ საზღაურიო». ამაზე ყველამ ბანი მისცა. მეორე საკამათო საგანი იყო ერთერთ ძველი წევრის გამოცვლა და ახლის დანიშვნა. თავმჯდომარემ ამის შესახებ გამოსთქვა ის მოსაზრება, რომ საჭიროა გამგეობაში, გარდა გამგისა, ერთი ისეთი წევრიც გვყავდეს, რომელსაც შეეძლება გამგის არა ყოფნის დროს მისი მაგიერობა გასწიოს ამ საქმეში. ამიტომ გამოსაცვლელი წევრის მაგიერ აირჩიეთ საჭიროების შესაფერი პირიო. შემდეგ კაი ხნის ყაყანის დაასახელეს ახალი წევრი გამგეობისა. შემდეგ ამისა აირჩიეს ახალი რევიზიის წევრები, ნაცვლად ძველებისა. ამათ სრულებით მოუსპეს გასამრჯელო. საზოგადოებამ დაავალა ამ ახალი რევიზიის წევრთ, უსასყიდლოდ ემსახურონ ამ წელში საზოგადოებას, რაც საზღაურად ზომად არ უნდა ჩაითვალოს. დასასრულ კრების წევრთაგან გამოითქვა სურვილი მეტის კრედიტის გახსნისა, რის გამო დაევალა გამგეობას კარგად გაიგოს ახალი წესდება და ჯეროვან დროს წარუდგინოს კრებას თავისი ახსნა და აზრი შესახებ ძველი წესდების გამოცვლისა და ახალის შემოღებისა. დასასრულ, არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი გარემოება: ხუთი წელიწადია თუ ექვსი, რაც გასული გამგეობის წევრი, ბ. ი. მელაძე, ემსახურება ამ საქმეს და კრებამ ვერ მოიფიქრა, რომ ბ. ი. მელაძისათვის მადლობა გამოეცხადებინა. ამით ვათავებ ჩემს კორესპონდენციას და ვუსურვებ საზოგადოებას ერთ რამეს: ეცადოს, რაც შეიძლება მეტი გონივრულობა იქნეს შეტანილი საქმეში: წევრნი საზოგადოებისა არ იყვნენ მხოლოდ დამსწრენი, არამედ აქტიური მონაწილენი ლაპარაკითა და მსჯელობით.

მ—ელი

—

ს. რუისი. (გორის მაზრა). ყველამ იცის, რომ ქართლელი კაცი თავის სიტლანქით და უმოძრაობით ცნობილია. მაგრამ რუისელისთანა არ იქნება. ქვეყანა რაღასაც ფაცი ფუცობს, რაღასაც ღონობს, ძიობს, რათა გააადვილოს და გაიუმჯობესოს თავისი ცხოვრება და რუისელი კი ისევ ის ქართლელი ტეტიაა, ისევ ის, რაც იყო არა თუ თხუთმეტისა და ოცის წლის წინეთ, არამედ სამოცისა და ასისაც. მთელს სოფელში ერთს არა აქვს ევროპიული გაუმჯობესებული გუთანი, მთელს სოფელში მხოლოდ ერთს აქვს ვერმორელის აპარატი, მთელს სოფელში მხოლოდ ერთა სწამლობს ვენახს და ამიტომ, რასაკვირველია, რომ მხოლოდ ამ ერთს მოულის ცოტა მაინც ღვინო. შვიდი წელიწადია რუისელს კაცს ქვევრი არ გაურეცხნია. წელს რაღაც თითო ოროლა თუნგა შემარტლი მოუვიდათ, მაგრამ ვინ უნდა იყოს თავის თავის მტერი, რომ ის დალიოს და იმას მოეკვლევინოს. საოცარია, ღმერთმანი, ასეთი კაცის ჰნების მოუსმენლობა! თუ სხვა არა, ეს თვალები ხომ ღმერთის მოუცია! როგორც რუისში ხეხილი გვაროვს, მგონი საქართველოში სხვა ბადალი ალაგი არ იყოს, მაგრამ აქაც ისევ მკვლეხური მამა-პაპეული ბორა—კაშლი, რომელსაც ქალაქში მზარეულები თუ ყიდულობენ საჭმლებისათვის. ეს ხდება, ბატონებო, სწორედ იმ დროს, როდესაც ფრიდონოვს გამოჩენილი ხეხილის სანერგე სკრაში ცხვირ წინ უძევთ. ქვეყანას ოთხსავ მხრივ მიაქვს ამდენი ნამყენები და აქვე—რუისელებს და ურბნელებს კი, რომლებიც მუდამ იქ მუშაობენ, ერთი ცალი არ შეუძენიათ აქნობამდის.

ესეთი ქვეყნიერობას უკან ჩამორჩენა გლეხკაცობას ხომ არ ეპატიება, მაგრამ ეს კეთილ-შობილნი, რომელნიც ერთს დროს ერის მოწინავე ნაწილს შეადგენდნენ, დღეს ერთი ნაბიჯითაც არ არიან წინ წამდგარნი. ამათ ხოლო იმით თუ გაარჩევ აზნაურს გლეხსაგან, რომ ჩოხაში ვერცხლის მასრები აქვს ჩარჭობილი, თორემ იგივე შინაც და გარეც, რაც მისი მეზობელი გლახა, გიგოლა, მიტრა და სხ. რა იყო ამ 20—30 წლის წინეთ იმერეთის ღვინო, ვინ დალევდა! მაგრამ დახედე, ეხლა საკაჭრო ალაგს ამანაც ერთი კუნჭული დაიჭირა. რა იყო კახეთი იმ დროს, როდესაც ნაცარი მავინაჯრებდა და ხშირად მთელი უმწეოებული ზვრის პატრონის ზედაშე ენატრებოდა! მაგრამ მაგალითმა კახელს თვალები აუხილა. მტერს შეებრძოლა და რაღაც ჯანაბა მილდიუ და ოიდიუმი დაამარცხა; ასე რომ ისევ მკვლეხურად ამსებს ქვევრებს, ისევ მკვლეხურად ღვინით არწყეს თავის ცოლშვილს და სხვა და სხვ. რუისი ერთ დროს პატარა კახეთად იყო ცნობილი, მაგრამ იმ დრომდის, სინამ ბუნება ხელს უწყობდა. რაკი ეს დალოცვილიც ცოტა გაქუნწდა და დალეწილი აღარავის ჩაუდო პირში, ეხლა მკვლავ ქებული ფუსი სხვებზე დაცილებით უკან ჩამორჩა. მე... კრებს, აბრეშუმის ჭიის მოყვანა, საქონლისათვის საკვები ბალახეულობის [...] ხომ მათთვის მიუწდომელი [...].

ამ უგზოობამ ხომ სულები ამოგვხადა! სოფელში ბედაურით ვერ გახვალ ბოლომდის, სადგურამდის, თუ რომ ნაჭმევი გამეჩება არა, ერთ ტომარა ფქვილს ვერ გაიტანენ! იმ დროს, როცა სხვაგან რკინის გზებსაც კი არა სჯერდებიან და ცდილობენ ცაში ფრინველს შეებრძოლონ, ჩვენი ქართველი საზოგადოდ და რუისელი კერძოთ იფლობა თავის მამაპაპეულის ურმით ვიწრო, ულამდის საფლობ ტალახში! ვიწრო ფოლორცებში, სადაც ორი ურმი ვერ აუქცევს ერთმანეთს გზას!.. ვთქვათ, რაიმე განგების ძალით იწყეს გზების კეთება, მერწმუნეთ, არც ერთი აზნაური ხელს არ წაახმარებს, თუმცა მათი რიცხვი 40—50 კომლს აღემატება!

## წერილი „ქუთაისის ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა“.

ხშირად წევრთა და—უფრო კი—არა წევრთაგან გვესმის საყვედურები, რომ ხეირიან მეცნიერულ წიგნებს არა სცემთო. იქნება სხვა დროს და სხვა ალაგას ამგვარი საყვედურები სამართლიანი ყოფილიყო, მაგრამ ახალ გამგეობას ჯერჯერობით მაინც არ დაუმსახურებია ეს და ცდილობს არც შემდეგში დაიმსახუროს. თუ ჩვენ სამეცნიერო წიგნებს—რაც ძლიერ სასურველი და საჭიროა—ვერა ვსცემთ, ამის მიზეზი გახლავთ ამხანაგობის სიღარიბე. მოგეხსენებათ, სამეცნიერო წიგნების მკითხველთა რიცხვი ძლიერ განსაზღვრულია. ამხანაგობამ კი ჯერ-ჯერობით ისეთი წიგნები უნდა გამოსცეს, რომ ბევრი გასაღოს და მით ცოტათი მაინც წელი გაიმაგროს. სამეცნიერო წიგნების კი არა, ზღაპრების გამოცემასაც რომ ვახერხებთ ზოგიერთი ჩვენი წევრების და აგენტების ხელში, ისიც დიდია.

ამ დალოცვილებს ნუ თუ ჰგონიათ, რომ საწევრო სიაში თავიანთი სახელისა და გვარის მოქცევით მთელი ვალი მოიხადეს! მაშ რასა ჰგავს, რომ 82 წევრს ათი წლის განმავლობაში ერთი კაპიკიც არ შემოუტანია (რაიცა შეადგენს 2050 მანეთს), 68 წევრს კი მესამედზედაც ნაკლები (17000 მანეთის მაგიერ 517 მანეთი); ასე რომ საწევრო ფულიდან შემოუტანელია 3233 მანეთი.

წევრებზედ არა ნაკლებ გულგრილად ეკიდებიან ამ საზოგადო საქმეს ზოგიერთი აგენტები. მართალია, დიდ ჯილდოს კი ვერ მიიღებენ ჩვენი გამოცემების გასაღებით, მაგრამ რაკი უნებებიათ აგენტობა და აღუთქვამთ ამხანაგობისათვის შეწევნის აღმოჩენა, საქმითაც უნდა დაემტკიცებინათ ეს. 2080 მანეთის წიგნები ირიცხება აგენტებზე და ზოგიერთს მათგანს არამც თუ ანგარიში არ გაუსწორებია, ერთი წერილიც არ მოუწერია გამგეობისათვის მთელი ათი წლის განმავლობაში! ახალმა გამგეობამ ყველა წევრებს და აგენტებს, რომელთა ადრესიც კი იცოდა, (ზოგიერთებს საცხოვრებელი ადგილი გამოუცვლიათ და ამხანაგობისათვის კი არ შეუტყობინებიათ) მიმართა წერილით და სთხოვა ანგარიშის გასწორება. სამასი წერილის პასუხად წევრთაგან სამმა პირმა გამოგვიგზავნა 22 მანეთი, აგენტებიდან კი მხოლოდ ერთმა—20 მანეთი; დანარჩენებმა პასუხის ღირსადაც არ გაგვხადეს.

მუდამ დაუბოლოებელი ანგარიში რომ მოესპო, ახალმა გამგეობამ საჭიროდ სცნო აგენტებისათვის 20% მაგიერ 30% დაეთმო იმ პირობით, რომ მათ ნაღდ ფულად შეეძინათ წიგნები; თუ ამ პირობას არ მოიწონებდნენ, იმ შემთხვევაში გაუყიდელი წიგნები უკანვე დაებრუნებინათ და გაყიდულის ფასიც გამოეგზავნათ. მაგრამ არც ფულს გვიგზავნიან და არც წიგნებს. რა ჰქნას გამგეობამ, თუ წევრთა და აგენტთაგან თანაგრძნობასა და შეწევნას ვერა ხედავს! საზოგადო სარგებლობისათვის გამგეობა ივიწყებს იმერულ ზრდილობას და აწუხებს გარეშე პირებს, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ ამხანაგობასთან; სთხოვს დახმარებას თითქმის ყველა ქართველ პროფესორებს და მწერლებს, რომელნიც მეტის-მეტ თანაგრძნობას გვიცხადებენ და თითქმის ჰონორარზედაც უარს ამბობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის საბჭომაც თანაგვიგრძნო და სამი წლის ვადით უფასოდ დაგვითმო ადგილი ქალაქის ბაღში კიოსკის ასაშენებლად. ვწერთ წერილს რომელიმე პატივცემულ მოღვაწეს, ვპირდებით ჰონორარს, მაგრამ—გულ-ახდილობა სჯობია—ჰონორარის შესახებ წერის დროს ხელი გვიკანკალებს და, ვინც წერილს დააკვირდება, ნათლად ამოიკითხავს სიტყვებში ჩაქსოვილ აზრს: «ჰონორარს იმიტომ გპირდებით, რომ დარწმუნებული ვართ, თქვენ მის წაღებას არ ინებებთ» ო. და უთუოდ მიგვიხვდენ ეგ პატივცემული პირნიც, რომ ყველა უფასოდ გვპირდება შემწეობას. ყველა წევრებს რომ შემოეტანათ ხვედრი ფული —3233 მანეთი, აგენტებსაც გაყიდული წიგნების ფასი მოეწოდებიათ, რაც უთუოდ 1000 მანეთზე ნაკლებს მაინც არ შეადგენს, ესე იგი 4233 მანეთი რომ მიეღო ამხანაგობას, მაშინ ადვილად შეგვეძლო, რომ ჰონორარიც მიგვეცა მწერლისათვის უტირლად, საკონკურსო (სამეტოქეო) პრემიებიც გადაჭრით დაგვენიშნა და წიგნებიც სასურველ შინაარსისა გამოგვეცა.

უნდა ხელახლა მიგვეწერა წერილები ყველა წევრებისა და აგენტებისათვის, მაგრამ მოვიდადეთ უოველთვის ორას-სამასი წერილის გზავნით ფიზიკურადაც და ნივთიერადაც (თუ ითქმის ასე); ამიტომ გაზეთის საშუალებით მივმართავთ ყველა ჩვენს წევრებს და აგენტებს, მაგრამ თხოვნით კი არა,—მუდარებით, გვედრებით: განზე გადგომა და ნიშნის მოგება არ კმარა, ბატონებო! დაგვეხმარეთ, ხელი მოგვიწყეთ როგორც ნივთიერად, ისე რჩევა-დარიგებით; თქვენი პირდაპირი მოვალეობა მაინც შეასრულეთ და თუ გამგეობამ ცუდლუტობა გამოიჩინოს, თუ შეძლების-და-გვარად არ იშრომოს ამ სიმპატიური საქმისათვის, მაშინ საყვედურზე მეტის ღირსიც იქნება.

იმედი კი გვაქვს, რომ პატივცემული წევრები და აგენტები უყურადღებოდ არ დაჰტოვებენ ჩვენს ვედრებას, მაგრამ (ღმერთმა კი ნუ ჰქნას და)—თუ ჩვენი იმედი ყინულზე დაწერილი შეიქმნა, იმ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ მათი ვინაობა. თუ არც ამან გასჭრა, მაშინ კი უფრო სასტიკ ზომებსაც უნდა მივმართოთ.

დასასრულ აგენტების საყურადღებოდ უნდა გამოვაცხადოთ შემდეგი: ახალმა გამგეობამ გარდასწყვიტა: ნაღდ ფულად მყიდველთ (რამდენიც უნდა იყიდონ) დაუთმოთ 30% (მანეთზედ ექვსი შაური); ვინც ას ცალზე მეტს იყიდის, მათ—35%; საკომისიოთ კი მხოლოდ 15% მიეცემათ. ვისაც ამხანაგობის წიგნები აქვს, უმორჩილესად ვსთხოვთ ან შეისყიდონ 30% გამორიცხვით, ან დაიტოვონ საკომისიოდ 15% დათმობით და გაყიდულის ფასი გამოგვიგზავნონ, ან და უკანვე დაგვიბრუნონ ჩვენი წიგნები.

ამასთან, ვინც ჩვენს აგენტობას კეთილინებებს, უმორჩილესად ვსთხოვთ წერილებით გვაცნობონ, რა პირობით ჰსურს აგენტობა.

ჩვენი ადრესი შემდეგია: Въ Кутаисъ, въ правленіе ,,Кутаисскаго Книго-Издательскаго Товарищества“.

გამგეობის მინდობილობით
ამხანაგობის გამგე დ. ავალიანი.

---

## სასამართლო

გუშინ, 8 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ, პალატის უფროსის თავმჯდომარის ბ-ნ ვარსკის თავმჯდომარეობით, განიხილა საქმე სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსის ნადვორნი-სოვეტნიკის ივანე ანდრიას ძის კაზიმიროვისა და მისის თანაშემწის კოლეჟ. სეკ. პეტრე დიმიტრის ძის რომანოვისა, რომელთაგან კაზიმიროვს ჰბრალდებოდა დაუდევრად სახელმწიფო ფულებისა და სხვა ქონების შენახვა, ხოლო რომანოვს: 1) 12 კერძო პირთა ფულიანი პაკეტის გახსნა და იქიდან სულ 734 მან. მითვისება-გაფლანგვა და ქ. ვარშავიდან პეტროვის სახელზე გამოგზავნილ ფასიან ნივთებიდან 12 მ. ღირებულ საათის მოპარვა; 2) სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის შემნახველ კასიდან 91 მ. 89 კ. და ამავე კონტორის საფოსტო გარდასახადის 113 მ. 24 კაპ. ღირებულ ნიშნების მითვისება; 3) ვასილ კობიაშვილის და პავლე იაშვილისაგან კანტორაში წარდგენილ სხვა-და-სხვა პირებისაგან შეკრებილ 82 მანეთის მითვისება და 4) აღნიშნულ ბოროტმოქმედებათა დასაფარავად კანტორის 1 და 7 წიგნში სხვა-და-სხვა დროს სიყალბის ჩადენა. საბრალმდებულო ოქმით საქმის გარემოება შემდეგია: 1898 წლის 12 აპრილს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისათვის დეპეშა გამოუგზავნია სიღნაღის კანტორის უფროს კაზიმიროვს: ტფილისში თავის ნებით წამოვიდა ჩემი თანაშემწე რომანოვი და თან ფოსტის ფულის ყუთის გასაღები გამოჰყოლია და მე განკარგულება მოვახდინე შესახებ ყუთის გაღებისა სიღნაღის პოლიციის თანადასწრებითაო. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის განკარგულებით რომანოვი ტფილისში დაუჭერიათ და თან გაუყოლებიათ ფოსტის მოხელე კოვალსკი სიღნაღის კანტორის საქმეების რევიზიის მოსახდენათ. 1898 წლის 21 აპრილის რევიზიას აღმოუჩენია, რომ კაზიმიროვს წინააღმდეგ საფოსტო წესისა იმდენი დაუდევრობა გამოუჩენია, რომ სახელმწიფო ფულები და სხვა ნივთების თვისის თანაშემწის რომანოვისათვის ჩაუბარებია. როდესაც საფულე ყუთი გაუხსნიათ, იქ აღმოჩენილა 8 გახსნილი ფულიანი პაკეტი, სულ 164 მ., რომელნიც ნიკოლაშვილისა, გაბოლიძისა, მათიაშვილისა, ბეროშვილისა, ტურიაშვილის და კონკლინის (2 პაკეტი) სახელზედ გასაგზავნად ყოფილა მიღებული; კანტორაში წარდგენილ ფულებიდან დაკლებული ყოფილა 91 მან. 80 კაპ., ხოლო ფოსტის გარდახდის ნიშნებიდან—113 მან. 24 კაპ. სულ აღმოჩენილა დაკლებული 396 მან., ეს ფულები იმ დღესვე წარუდგენია კაზიმიროვის ხელით რევიზორისათვის ბრალდებულის რომანოვის ცოლს. 22 აპრილს რომანოვი გამოსტეხია რევიზორს ფულების მითვისება-გაფლანგვაში და აუხსნია, რომ იგი აიძულა შინაურმა მდგომარეობამ ეს საქმე ჩაედინა. 23 აპრილს გამომძიებელს აღმოუჩენია კიდევ ოთხი გახსნილი ფულიანი პაკეტი: ერთი—200 მანეთიანი ყოფილა თავ. შალიკაშვილის სახელზედ, მეორე—20 მან., მიღებული ყოფილა კანტორის უფროსის სახელზე ვიღაც ჩუბინიძისათვის გადასაცემად, მესამე—150 მან. არტემ მატინოვის სახელზედ და მეოთხე—200 მან. ტფილისის პოლკის უფროსის სახელზედ. სულ 570 მან., აგრეთვე აღმოუჩენიათ 2 ფულის გასაგზავნი ბლანკი—12 მანეთის, მალაქია სირაძისა, ხოლო 70 მან. იაშვილის სახელზედ. რომანოვის ხელმოწერილ კვიტანცია იაშვილისა და კობიაშვილისაგან 82 მან. მიღებაზე, რომლის შესახებაც რომანოვი გამოტეხილა, რომ მას ეს არ გაუგზავნია დანიშნულებისამებს. რომანოვი გამოტეხილა სულ 194 მან. დანიშნულებისამებრ გაუგზავნელობაში. იმავე წელს 11 მაისს გამოძიებას აღმოუჩენია რომანოვისაგან ვითომც მოპარული 12 მან. ღირებული საათი 767029 ნომრისა. ყველა ზემოდ აღნიშნულ ბოროტმოქმედებათა დასაფარავად რომანოვს ჩაუდენია მთელი რიგი სიყალბისა, რომელიც, სხვათა შორის, იმაში იხატება, რომ როდესაც მას რომელიმე პირისაგან მიუღია ფულიანი პაკეტი გასაგზავნად, წიგნში ერთს გვერდზე მიღებულად ჩაუწერია, ხოლო მის პირდაპირ კი აღუნიშნავს, ვითომც იგი დანიშნულობისამებრ გაგზავნილიყოს, ხოლო ნამდვილად კი ფული თვით უფლანგავს. მაგალ., 17 აპრილს 1897 წელს მიუღია ტფილისის გრენადერთა პოლკის უფროსის სახელზედ გასაგზავნად და მიღებული პაკეტების შესახებ კონტორის წიგნში აღუნიშნავს, რომ გაგზავნილია და სხვა. ასეთი მაგალითებია სულ 15-დე. ბრალდებული რომანოვი გამოტყდა თავისს დანაშაულობაში და განაცხადა, რომ მართალია, ეს მოვიმოქმედე 1897 წლიდან, მაგრამ ამ წლამდე მე და კაზიმიროვმა ერთად გავფლანგეთ სახელმწიფო ფული და აი ამის შესავსებად მინდოდა ყველა შემდეგ აღებული ფულებიო. სამოსამართლო პალატაში ამ საქმის გამო დაბარებული იყო 15 მოწმემდე და ზოგიერთს გარდა საქმის გარემოება აღარ ეკითხა, რადგანაც დამნაშავემ აღიარა თავისი დანაშაული. პალატაში საქმის გამოძიების დასასრულ კაზიმიროვმა ითხოვა გამართლება, ხოლო რომანოვმა განაცხადა: მე დამნაშავე ვარ ამ საქმეში, მაგრამ გთხოვთ, რამდენადაც შეიძლება სასჯელი შემიმსუბუქოთო. პალატამ დამნაშავედ იცნო ორივე ბრალდებულნი და გარდაუწყვიტა ივანე კაზიმიროვს—გამოირიცხოს სამსახურის ვადიდან 6 თვე, ხოლო პეტრე რომანოვს ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში წელიწად-ნახევრის ვადით გაგზავნა. პალატამ რომანოვს დააკისრა აგრეთვე 831 მან. და 5 კაპ. გადახდა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამოქალაქო საჩივრის დასაკმაყოფილებლად.

---

## საღამოს დეპეშები

8 მარტი

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. ჩემბერლენმა გამოაცხადა: ბოტამ წერილით შეატყობინა კიტჩენერს, რომ იგი მზად არის წარუდგინოს თავის მთავრობას განსახილველად ის პირობები, რომლებიც კიტჩენერმა წარუდგინა; ამასთანავე ბოტა სწერს, რომ მისი მთავრობა და უმთავრესი ოფიცრებიც თანახმანი არიან მისი შეხედულებისა ამ საქმეზე. ამ საქმის შესახები საბუთები მალე წარედგინება პარლამენტს.

**პეტერბურგი.** დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული 6 მარტს მიბრძანდა კოპენჰაგენში.

ტფილისიდან და სმირნიდან იტყობინებიან, რომ იქ გარდაუხდიათ პანაშვიდები მინისტრის ბოგოლეპოვის სულის მოსახსენებლად.

**როსტოვი-დონზე.** სავაჭრო კანტორის ზიფის მსახურმა სიმონ გრინმა გუშინ მიიღო სახელმწიფო ბანკიდან ჩეკით 25 ათასი მანეთი და სადღაც გაიქცა.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა ფინლიანდიაში არსებული საფოსტო წესების შემდეგი დამატება: „ღია წერილების შინაარსი არ უნდა იყოს წინააღმდეგი კანონებისა, საზოგადო წესიერებისა და ზნეობისა. თუ საფოსტო დაწესებულება ამგვარს რასმეს შენიშნავს ღია წერილში, უკანასკნელი არ გაეგზავნება ადრესატს“.

**ალჟირი.** გენერალმა სერვიერმა 25 თებერვალს დაიპყრო ოაზისი ტოლმანი ცხარე ბრძოლის შემდეგ.

**კელნი.** შენიშვნაში, რომელიც დაბეჭდილია ლონდონის გაზეთ „დეილი მაილ“-ში ნათქვამია, რომ ინგლისის პოლიტიკა აღმოსავლეთ აზიაში არ უნდა მიისწრაფოდეს თავისუფალ ვაჭრობის პრინციპისაკენ, არამედ უნდა ცდილობდეს ინგლისმა მეთაურობა მოიპოვოს იანცზეს ხეობაში. „კელნიშე ცაიტუნგ“-ში დაბეჭდილია დეპეშა სათაურით „განაწილების ფანტაზია“. დეპეშა ამბობს: ამ ფანტაზიის გასაქარწყლებლად საკმარისია შევნიშნოთ, რომ ყველა დაინტერესებული სახელმწიფო პირ იქით მოწადინებულია დაიცვან ჩინეთი განაწილებისაგან. რაც შეეხება იანცეს ხეობას, ამას შესახებ უკვე ცნობილია, რომ ინგლისის გარდა სხვა სახელმწიფოებსაც აქვთ იქ საკუთარი ინტერესები. რამდენად არის დაინტერესებული ამაში გერმანია, სჩანს ინგლის-გერმანიის შეთანხმებიდანაც; ინგლისსა და გერმანიას გვერდში უდგას კიდევ ამერიკა, იაპონია და რუსეთიც კი, რომელთა ინტერესი დაცულ იქმნას იან[...] თავისუფალ ვაჭრობის პოლიტიკა.

**ბერლინი.** ლორდის კრანბორნის ყვების შესახებ მანჯურიაში—„ბერლ[...] ნახრიხტენ“ ამბობს: რომ კრანბორნის [...] ცხადება მართალია, მაგრამ სრული არისო; ამიტომ შესაძლებელია ვინმე [...] დომაში შევიდეს. თუ კრანბორნს ჰსუ[...] აეხსნა, რამდენად ეხება ინგლის-გერმან[...] შეთანხმება მანჯურიას, იმას არაფერი უნდა ეთქვა იმის შესახებ, ვითომც მო[...] შირე სახელმწიფოებს გადაჭრილი [...] არა აქვთ შედგენილი ამ შეთანხმების [...]რცელების შესახებ მანჯურიაზე.

**პეტერბურგი.** ბირჟა, 6 მარტს, 5[...] გარ. ფურც.-ტფ. სადგ.-მამულ. ბან[...] $92\frac{7}{8}$ გაყიდ., $4\frac{1}{2}\%$ იმავე ბანკისა 87[...] მყიდვ., 6% ქუთ. ბანკისა 93 მყიდვ.

**პეტერბურგი.** ბირჟა, 8 მარტს. [...] მანთაშევის და ამხ. ნავთის საზოგადო[...] აქციები 277 მყიდვ.

| | |
|---|---|
| რედაქტორი | გამომცემელი |
| ალ. ჯუღელია. | ალ. ჯაბადარი |

---

## გამოსადეგი ცნობანი

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლები**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის სა[...] ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან [...]ქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათ[...] დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქ[...] ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფი[...]სში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 [...]) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. [...] ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფ[...]ლისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. [...] წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს[...] 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში [...]დის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 [...]) ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 [...]).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფ[...]ლისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 [...] 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 [...] (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათ[...] გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათ[...]ში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 [...]).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმ[...] ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 [...] 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 [...] (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქ[...] გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 [...]) ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 [...]).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმ[...] (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 [...] 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქ[...] გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 [...]) ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

---


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მის თანა[...] წრებით 13 მარტს, 1901 წ. 1 საათ[...]

**დანიშნულია საჯარო**

**ვაჭრობა,**

რომლითაც გაიცემა იჯარით ბეტონის წყ[...] სადენის გაკეთება პანარევიჩის ქუჩაზე ბა[...] ჯალოვის სახლამდე, გონჩარნი ქუჩაზე, [...] ლიციის მე-VIII ნაწილში სიგრძით 115 [...] ღირებული 2665 მანეთად.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილე[...] მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრი[...] ბითი პირობები გამგეობის მესამე განყ[...] ფილებაში ყოველ-დღე, კვირა უქმეებს გ[...] და, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის [...] საათამდე. (ნ. 3—1)